1) კითხვა - 2014 წლის 31 მარტს №176/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების (შემდგომში –საკონკურსო პირობები) პირველი მუხლის მე–10 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით 1მგბ\წმ–ით გავრცელების ყოველთვიურ ზედა (მაქსიმალურ) ტარიფს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დღგ–ს გარეშე.
გთხოვთ გვაცნობოთ, კონკურსის ჩატარების შემდეგ შესაძლებელია, თუ არა აღნიშნული მაქსიმალური ტარიფის ცვლილება და დადებით შემთხვევაში, რა მოცულობით, რა ვადაში და რა საფუძვლების არსებობისას?

პასუხი - ლიცენზიის მფლობელის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო კონტენტის ***გავრცელების მაქსიმალური ტარიფის*** ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ***მისი შემცირების მიზნით***, როგორც ***ლიცენზიის მფლობელის ინიციატივით, ასევე კომისიის მოთხოვნით***, კომისიის მიერ განხორციელებული შესაბამისი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ კომისია, ნებისმიერ დროს, უფლებამოსილია (საკუთარი ინიციატივით, ისევე როგორც მესამე პირის (პირების) მოთხოვნის საფუძველზე) ***გამოიკვლიოს ლიცენზიის მფლობელის მიერ სატელევიზიო კონტენტის გავრცელებისათვის დადგენილი ტარიფების ხარჯებზე ორიენტაციის საკითხი***. კერძოდ, ჩაატაროს შესაბამისი კვლევა (გამოითხოვოს ინფორმაცია ხარჯებისა და მომსახურების საფასურის გაანგარიშების შესახებ) და თუ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადასტურდება, რომ ლიცენზიის მფლობელი არ ასრულებს ლიცენზიით დაკისრებულ ხარჯებზე ორიენტაციის ვალდებულებას, მოსთხოვოს მას ტარიფების შესაბამისი მოცულობით შემცირება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების მე-4 მუხლი (სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნები და სხვა სალიცენზიო პირობები) განსაზღვრავს, რომ №MUX-A და №MUX-B ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ქსელის ფარგლებში არსებულ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/ლიცენზირებული მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ***ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება*** და ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება; შესაბამისად №MUX-A და/ან №MUX-B მულტიპლექს პლატფორმებში სატელევიზიო კონტენტის გავრცელებისათვის შემოთავაზებული ტარიფები უნდა მოიცავდეს ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში მხოლოდ სატელევიზიო კონტენტის ***გავრცელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს***, რომელიც არ ითვალისწინებს მაუწყებლის ***სტუდიიდან ქსელში*** დაშვების წერტილამდე (Head-end) სიგნალის მიწოდების, ისევე როგორც ***პირობითი დაშვების სისტემით*** მომსახურების ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2) კითხვა - საკონკურსო პირობების პირველი მუხლის მე–10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად საკონკურსო წინადადებას უნდა დაერთოს ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი ნოტარიალური დოკუმენტი, გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლობის თანახმად იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება

მარეგისტრირებელი ორგანოს ამონაწერით, გთხოვთ გვაცნობოთ თუ რა სახის დოკუმენტი ჩაითვლება უფლებამოსილების დამადასტურებლად?

<u>პასუხი</u> - თუ ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს ამონაწერით, ამგვარი ამონაწერი ჩაითვლება ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დამადასტურებელ დოკუმენტად. ხოლო თუ ლიცენზიის მაძიებელს წარმოადგენს მესამე პირი, რომლის უფლებამოსილებაც არ დასტურდება შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს ამონაწერით, საკონკურსო წინადადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი.

<u>3) კითხვა</u> - საკონკურსო პირობების პირველი მუხლის მე– 10 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონკურსო წინადადებას უნდა დაერთოს დაფინანსების წყაროების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.
გთხოვთ გვაცნობოთ ა) რა სახის დოკუმენტები ჩაითვლება დაფინანსების წყაროების დამადასტურებელ დოკუმენტებად? ბ) ასეთ დოკუმენტად იქნება, თუ არა მიჩნეული დამფუძნებლის ბრუნვის შესახებ ინფორმაცია და მის მიერ გაცემული წერილობითი გარანტია, რომ მოახდენს მისი შვილობილი კომპანიის (ლიცენზიის მაძიებლის) კაპიტალში სათანადო ოდენობის შესატანების განხორციელებას?

<u>პასუხი</u> - დაფინანსების წყაროს დამადასტურებელ დოკუმენტაციად ჩაითვლება, როგორც ლიცენზიის მაძიებელის ფულადი სახსრების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ლიცენზიის მაძიებლის ბოლო ერთი წლის ბრუნვა (დადასტურებული საბანკო ამონაწერით) ან საკრედიტო ინსტიტუტებთან გაფორმებული შეთანხმება, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი გამარჯვების შემთხვევაში მიიღებს საჭირო მოცულობის კრედიტს ან გაეხსნება საკრედიტო ხაზი, ასევე ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებლის ბრუნვის შესახებ ინფორმაცია და დამფუძნებლის მიერ გაცემული წერილობითი გარანტია, რომ იგი მოახდენს ლიცენზიის მაძიებლის კაპიტალში სათანადო ოდენობის შენატანების განხორციელებას.

<u>4) კითხვა</u> - საკონკურსო პირობების მე–4 მულის, დ ქვეპუნქტის თანახმად, №MUX-A და №MUX-B ლიცენზიების სადისტრიბუციო ქსელის ფარგლებში რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას ოპტიკურ–ბოჭკოვანი დასან რადიოსარელეო კავშირი, ხოლო თანამგზავრული კავშირი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სარეზერვო სადისტრიბუციო ქსელის ასაგებად.
გთხოვთ გვაცნობოთ ა) შესაძლებელია, თუ არა სადისტრიბუციო ქსელის ფარგლებში ძირითად საშუალებად გამოყენებულ იქნეს თანამგზავრული კავშირი? ბ)სავალდებულოა, თუ არა სარეზერვო სადისტრიბუციო ქსელის აგება?

<u>პასუხი</u> - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის დ-ქვეპუნქტი წარმოადგენს ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმის სადისტრიბუციო ქსელის მოწყობის შესახებ კომისიის რეკომენდაციას. №MUX-A და/ან №MUX-B ლიცენზიის მფლობელები უფლებამოსილნი არიან თავად შეარჩიონ სადისტრიბუციო ქსელის მოწყობის მოდელი და განსაზღვრონ სარეზერვო სადისტრიბუციო ქსელის აგების საჭიროების საკითხი, თუმცა №MUX-A და/ან №MUX-B მულტიპლექს პლატფორმების ფარგლებში ლიცენზიის მფლობელები ***<u>ვალდებულნი</u>*** არიან უზრუნველყონ საკონკურსო პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ-ქვეპუნქტით განსაზღვრული ***<u>ხელმისაწვდომობის ხარისხი</u>*** (SLA).

5) კითხვა - საკონკურსო პირობების მე–4 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიის მფლობელები უნდა შეთანხმდნენ ერთი სახეობის პირობითი დაშვების სისტემის ბარათებზე, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით გავრცელებული ყველა მომსახურების მიღება.
გთხოვთ გვაცნობოთ ა) ვინ განახორციელებს აღნიშნული ბარათების რეალიზაციას, ბ)ვინ მოახდენს ამ ბვარათების ოპერირებას?

პასუხი -როგორც წესი, პირი რომელიც ახორციელებს პირობითი დაშვების სისტემით მომხმარებლებისათვის სატელევიზიო მომსახურების მიწოდებას ახორციელებს პირობითი დაშვების ბარათების რეალიზაციასა და ოპერირებას. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის მფლობელი, ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად, უფლებამოსილია თავად განსაზღვროს მისი ბიზნეს მოდელი, კერძოდ საცალო ბაზარზე მომხმარებლებს შესთავაზოს პირობითი დაშვების სისტემით სატელევიზიო მომსახურების მიწოდება და განახორციელოს პირობითი დაშვების ბარათების რეალიზაცია/ოპერირება, ისევე როგორც მიმღები მოწყობილობების მიწოდება ან პირობითი დაშვების სისტემით სატელევიზიო მომსახურების მიმწოდებელ მესამე პირს ქსელურ დონეზე გაუწიოს სატელევიზიო სიგნალის გავრცელების მომსახურება და ქსელურ დონეზე უზრუნველყოს პირობითი დაშვების ბარათების მხარდაჭერა.

6) კითხვა -საკონკურსო პირობების მე–4 მუხლის, პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სეთ–თოფ–ბოქსების“ იმპორტის ან მომხმარებლისათვის მიწოდების შემთხვევაში, აღნიშნული „სეთ–თოფ–ბოქსი“ უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სპეციფიკაციებს.
გთხოვთ გვაცნობოთ, ა) „სეთ–თოფ–ბოქსები“ –ს შემოტანისათვის საჭიროა, თუ არა სპეციალური ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვება? ბ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, თუ არა დამატებითი ნებართვებისა და ლიცენზიების მიღების გარეშე განახორციელოს „სეთ–თოფ–ბოქსები“ –ს შემოტანა ან\და მომხმარებლისათვის მიწოდება?

პასუხი - ე.წ. „სეთ-თოფ-ბოქსების“ შემოტანა არ საჭიროებს დამატებით ნებართვას და/ან ლიცენზიას, შესაბამისად ნებისმიერი პირი, მათ შორის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი, უფლებამოსილია განახორციელოს „სეთ-თოფ-ბოქსების“ იმპორტი და მომხმარებლისათვის მიწოდება.
„სეთ-თოფ-ბოქსებ“-თან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში შეიქმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“-ს.

7) კითხვა - სავალდებულოა, თუ არა მაუწყებლის მიერ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში გასაშვები სატელევიზიო კონტენტი იყოს კოდირებული, თუ ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია სატელევიზიო კონტენტი საკუთარ ქსელში განათავსოს დაშიფვრის გარეშე?

პასუხი -კონკურსით ხელმისაწვდომი ლიცენზიების ფარგლებში სავალდებულოა მხოლოდ სამაუწყებლო კონტენტის ***ღია ეთერით*** (არა-კოდირებული ფორმით) გავრცელების

შესაძლებლობის უზრუნველყოფა და შესაბამისი მაუწყებლების ღია ეთერით გავრცელება, თუმცა ლიცენზიის მფლობელი ასევე უფლებამოსილია ქსელის ფარგლებში არსებული რესურსი (ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მის მიერ განსაზღვრული ბიზნეს-მოდელის შესაბამისად) გამოიყენოს მომხმარებლებისათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით სატელევიზიო პროგრამების გასავრცელებლად, ისევე როგორც მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების (ტრანზიტული მაუწყებლობის) მისაწოდებლად. თუმცა მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა, მაუწყებლების მხრიდან №MUX-A და №MUX-B ქსელში ღია ეთერით გავრცელების მოთხოვნის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება, უპირობოდ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მსურველი მაუწყებლის ქსელში დაშვება და (შესაბამისი საფასურით) ***ღია ეთერით*** (არა-კოდირებული ფორმით) გავრცელება.

8) ***კითხვა*** - № MUX-A ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, თუ არა ქსელის ექსპლუატაციაში გაშვების მომენტისათვის უზრუნველყოს Head-and -ების განთავსება საკონკურსო პირობების ცხრილში 2–ით დადგენილი Head-end-ების განთავსების ყველა პუნქტში და შესაძლებელია, თუ არა Head-and-ების განთავსება ადგილობრივ ქვეზონებში მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამის ქვეზონაში იქნება მოთხოვნა ადგილობრივი მაუწყებლის მიერ?

პასუხი - №MUX-A ლიცენზიის მფლობელი ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებისას ***ვალდებულია უზრუნველყოს*** სალიცენზიო პირობებით განსაზღვრულ თითოეულ ადგილობრივ ***სამაუწყებლო ქვეზონაში ე.წ. „Head-end"-ების განთავსება***.

9) ***კითხვა*** - თუ, ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელის მოცულობა შევსებულია ეროვნული საეთერო ტელემაუწყებლების სატელევიზიო კონტენტით და ქსელთან დაშვების სურვილი გამოთქვა ადგილობრივმა მაუწყებელმა, № MUX-A ლიცენზიის მფლობელს წარმოეშვება, თუ არა ვალდებულება ქსელში გაუშვას ადგილობრივი მაუწყებლის სიგნალი?

თუ №MUX-A ლიცენზიის მფლობელს, ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში დაშვების მოთხოვნით, ერთდროულად მიმართა ეროვნულ–საეთერო ტელემაუწყებელმა და ადგილობრივმა მაუწყებელმა, თუმცა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია მხოლოდ ერთ–ერთი მათგანის კონტენტის გავრცელება, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, თუ არა უპირატესობა მიანიჭოს ადგილობრივ მაუწყებელს?

თუ № MUX-A ლიცენზიის მფლობელს ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში დაშვების მოთხოვნით, ერთდროულად მიმართა რამოდენიმე მაუწყებელმა, თუმცა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია მხოლოდ ერთ–ერთი მათგანის კონტენტის გავრცელება, ლიცენზიის მფლობელი თავისუფალია, თუ არა არჩევნის გაკეთებისას? და უარყოფით შემთხვევაში, რა გარემოებებზე დაყრდნობით უნდა მიიღოს მან გადაწყვეტილება?

პასუხი - როგორც თქვენთვის ცნობილია, ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე მიგრაციის უზრუნველყოფის მიზნით 2014 წლის 20 თებერვალს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელიც განსაზღვრავს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის

უზრუნველსაყოფად განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის გაცემის წესებს და ლიცენზიის მფლობელთა ზოგად უფლებებსა და ვალდებულებებს.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების ჭრილში ახლებურად უნდა დამუშავდეს ტელემაუწყებელთა ავტორიზაციის, ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო ქსელში ტელემაუწყებელთა დაშვების (ასევე, სავალდებულო დაშვების), კონცენტრაციის აკრძალვისა და სავალდედბულო ტრანზიტის საკითხები, რათა 2015 წლის 17 ივნისის შემდგომ ადეკვატურად დარეგულირდეს ტელემაუწყებელთა სამაუწყებლო ბაზარზე და ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში დაშვებასთან დაკავშირებული საკითხები.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იგეგმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც, ზემოთ განსაზღვრული საკითხების გათვალისწინებით და ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტების მომზადება, საჯარო კონსულტაციების წარმართვა და დასარეგულირებელი საკითხების მიმართ ერთობლივი ხედვის ჩამოყალიბება.

შესაბამისად ყველა საკითხი (რომელიც მოიცავს, როგორც ***<u>ღია საეთერო ქსელში მაუწყებლების დაშვების</u>*** წესებს/პირობებს და იმ მაუწყებლების ***<u>განსაზღვრას</u>***, რომელთა ***<u>სავალდებულო დაშვება</u>*** და ***<u>ღია ეთერით</u>*** (არა-კოდირებული ფორმით) გავრცელებაც უნდა უზრუნველყოს, პირველ რიგში, შესაბამისი ციფრული მიწისზედა ქსელის ოპერატორმა, ისევე როგორც ქსელის ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი რესურსის მართვის საკითხებს) უახლოეს მომავალში (საჯარო კონსულტაციების წარმოების შემდგომ) დარეგულირდება მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით, ხოლო ლიცენზიის მფლობელი კი ვალდებული იქნება უზრუნველყოს შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულების შესრულება;

<u>10) კითხვა</u> -№MUX-A ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, თუ არა ადგილობრივი სამაუწყებლო ქვეზონებისათვის სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ტარიფები მიუთითოს საკონკურსო წინადადებაში, თუ შესაძლებელია მათი დადგენა ლიცენზიის მოპოვების შემდეგ?

<u>პასუხი</u> - №**MUX**-A ლიცენზიის მაძიებელი კონკურსის ფარგლებში ვალდებულია მიუთითოს მულტიპლექს პლატფორმაში სატელევიზიო კონტენტის ***<u>მხოლოდ ეროვნულ დონეზე</u>*** (ანუ ყველა ადგილობრივ ქვეზონაში ერთობლივად) ღია ეთერით (ასევე მომხმარებლებისათვის უფასოდ კრიპტო-კოდირებული ფორმით) 1მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ზედა(მაქსიმალური) ტარიფი ლარში დღგ-ს გარეშე; რაც შეეხება ადგილობრივი სამაუწყებლო ქვეზონებისათვის სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ტარიფებს, №**MUX**-A ლიცენზიის მფლობელი ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე 4 კვირით ადრე ვალდებულია წარუდგინოს კომისიას და გამოაქვეყნოს საკუთარ ვებ–გვერდზე მოწვევის ოფერტა, სადაც განსაზღვრული იქნება ***<u>ყოველ ადგილობრივ სამაუწყებლო ქვეზონაში</u>*** (ცალ-ცალკე) სატელევიზიო კონტენტის 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი.

<u>11) კითხვა</u> - შესაძლებელია, თუ არა ციფრული სატელევიზიო მიწისზედა ქსელის უზრუნველყოფის ტექნიკური წინადადება კომისიაში წარმოდგენილ იყოს ინგლისურ ენაზე? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, შესაძლებელია, თუ არა მასში ტექნიკური ტერმინები ინგლისურ ენაზე იყოს მითითებული?

<u>პასუხი</u> - ტექნიკური წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, თუმცა კონკურსის მონაწილე უფლებამოსილია ტექნიკური ტერმინებისათვის გამოიყენოს ინგლისური ენა.

<u>12) კითხვა</u> - რა იგულისხმება აღნიშნულ ფრაზაში: „ინფორმაციას სადისტრიბუციო ქსელის მოდელის შესახებ, რომლის გამოყენებასაც გეგმავს ლიცენზიის მაძიებელი?" სამაუწყებლო პუნქტებისათვის სიგნალის მიწოდების გეგმა?

<u>პასუხი</u> - კონკურსის მონაწილის მიერ წარმოდგენილი სადისტრიბუციო ქსელის მოდელის შესახებ ინფორმაცია უნდა განსაზღვრავდეს სატელევიზიო გადამცემებამდე სიგნალის მიწოდების ტექნიკური მოდელის შესახებ ზოგად მონაცემებს, რომლის დანერგვასაც გეგმავს ლიცენზიის მაძიებელი. მაგალითად ციფრული მიწისზედა სატელევიზიო პლატფორმის სადისტრიბუციო ქსელის ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი, რადიოსარელეო, თანამგზავრული ან ჰიბრიდული კავშირი.

<u>13) კითხვა</u> - ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველყოფის ტექნიკური წინადადება, რომელიც თავის თავში მოიცავს რამოდენიმე პუნქტს (ქსელის აგების დეტალური გეგმა, ინფორმაციას ქსელის აგების მოდელისა და შესაბამისი ლიცენზიით/ლიცენზიებით განსაზღვრული ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების სავარაუდო ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატების) შესახებ და ა.შ.) ჩაშლილი უნდა იყოს პუნქტობრივად თუ შესაძლებელია გაერთიანებული სახით წარმოდგენა?

<u>პასუხი</u> - კონკურსის მონაწილის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური წინადადება შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ნებისმიერი ფორმით, როგორც გაერთიანებული სახით, ასევე კონკრეტული პუნქტების მითითებით, თუმცა აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების პირველი მუხლის მე-10 პუნქტის ე-ქვეპუნქტით განსაზღვრული ყველა მოთხოვნის შესახებ ინფორმაციას.

<u>14) კითხვა</u> - კომპანიას მონაწილეობის მიღება სურს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში B+2 ლოტის ფარგლებში. გთხოვთ, დაგვიზუსტოთ რა რაოდენობის სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი იქნება საჭირო.

<u>პასუხი</u> - ვინაიდან B+2 ლოტის ფარგლებში მოიაზრება სამი ლიცენზია კონკურსის მონაწილემ საკონკურსო წინადადებას უნდა დაურთოს სამი ლიცენზიის სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

<u>15) კითხვა</u> - კომპანია ციფრული მაუწყებლობის კონკურსში მონაწილეობის მიზნით მუშაობს როგორც სტანდარტულ (42 გადამცემით), ასევე ალტერნეტიულ ტექნიკურ პროექტზე. კონტროლის მიზნით გვესაჭიროება ალტერნატიული პუნქტებიდან მაუწყებლობის განფენა-დაფარვის შედარება.
ამიტომ გთხოვთ, კომისიის ხელთ არსებული კომპიუტერული პროგრამის საშუალებით განახორციელოთ ეს შედარება რუქაზე დატანის სახით.

ბათუმი	41 41 08	41 43 26	280 + 80	1k

	N	E		
ურთა	42 24 48	41 49 06	360 + 80	3k
სენაკი	42 17 48	42 03 60	458 + 60	3k
ჩოხატაური	42 04 03	42 11 07	664 + 60	3k
ქუთაისი	42 16 49	42 44 12	358 + 100	5k
რიკოთი	42 03 23	43 21 04	1510 + 60	3k
ასპინძა	41 35 58	43 19 10	2155 + 60	3k
დმანისი	41 22 19	44 10 57	1903 + 60	3k
კოჯორი	41 40 12	44 41 18	1487 + 70	3k
საგარეჯო	41 44 04	45 16 52	950 + 60	3k
აჩხოტი	42 37 31	44 36 42	1770 + 70	1k
ბარჯისხევი	41 37 33	45 52 47	1080 + 80	3k
ცივი	41 51 40	45 24 02	1890 + 80	3k
რაჭა	42 35 59	43 21 31	1490 + 60	3k

<u>პასუხი</u> - კომისამ, მის ხელთ არსებული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით განახორციელა წარმოდგენილი ტექნიკური პარამეტრების რუქაზე დატანა, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://allshares.ge/download.php?id=43CDE69D102 (შენიშვნა: გადმოტვირთული ფაილი ამოაარქივეთ და გადმოტვირთეთ GoogleEarth-ის პროგრამა (http://earth.google.com), რომლის საშუალებითაც გაიხსნება kml გაფართოების ფაილი.)

შენიშვნა: მოცემულთან დაკავშირებით კომისიას ***<u>არ განუხორციელებია</u>*** მიღებული შედეგების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის ანალიზი და შეფასება.

<u>16) კითხვა</u> -კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობების თანახმად კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პირებს. გთხოვთ, მისცეთ ამგვარ კომპანიას შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კონკურსში.

<u>პასუხი</u> - ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით უზრუნველსაყოფად კონკურსის გამოცხადების დროს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია იხელმძღვანელოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 52^1 მუხლის მე–5 პუნქტის

გ) ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება იურიდიულ პირს, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს სახელმწიფო.

შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ცალკეული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების დროს იხელმძღვანელებს კანონის აღნიშნული ნორმით.